ევროკავშირი საქართველოსთვის

გერმანიის თანამშრომლობა DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

KFW

აჭარის წყლის ალიანსი

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი 65 დეკემბერი / 2025

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის 2025 წლის მიმოხილვა

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში, აჭარის მასშტაბით გრძელდება სამუშაოები, რათა შეიქმნას თანამედროვე, საიმედო და მდგრადი წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების სისტემების მომსახურება სოფლის დასახლებებისთვის.

პროგრამის ფარგლებში, 2025 წელს განხორციელებული ზომები:

- სამუშაოები დაიწყო **30** სოფელში
- აშენდა **225 კმ** წყალმომარაგების ქსელი
- დამონტაჟდა **884** სეპტიკური ავზი
- დაიწყო **13** რეზერვუარის მშენებლობა
- დაიწყო **6** წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობა

თანამედროვე კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან ერთად, 2025 წელს სს „აჭარის წყლის ალიანსმა“ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა დამატებითი სამიზნე ტერიტორიებისთვის საინჟინრო პროექტირების დოკუმენტაციის მომზადების მიმართულებით, კერძოდ:

- მომზადდა სოფელ **ჩაქვისთავის** წყალმომარაგების პროექტი
- შუახევის მუნიციპალიტეტში **ჩირუხისთვის** მომზადდა საპროექტო ნახაზები და ჰიდრავლიკური სიმულაციები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს წყლის ნიმუშების ლაბორატორიული ტესტირება
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კიდევ ოთხ სოფელში: **ზანაქიძეები, ხელვაჩაური, შარაბიძეები და მახვილაური,** გაკეთდა წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების სისტემების პროექტირება
- ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ **ნამისლევისთვის** მომზადდა დამატებითი საპროექტო დოკუმენტაცია

ტექნიკური სამუშაოების პარალელურად, სს „აჭარის წყლის ალიანსი“ აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას აჭარის სოფლებში წყლის მომხმარებელთა ჯგუფებთან. 2025 წლის განმავლობაში ეკოკლუბების ფარგლებში ჩატარდა მრავალი ვორქშოფი წყლისა და ჩამდინარე წყლების სისტემების მდგრადი და პასუხისმგებლიანი გამოყენების შესახებ. ეკოკლუბის მოსწავლეებმა ასევე განახორციელეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები თავიანთ თემებში. აქტივობები ფოკუსირებული იყო უფროსი თაობის ინფორმირებაზე. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სისტემებისა და ინვესტიციების გრძელვადიან მდგრადობას.

2025 წელს მიღწეული პროგრესი შესაძლებელი გახდა აჭარის მთავრობის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, სოფლებისა და ნახევრად ურბანული დასახლებების მაცხოვრებლების, საინჟინრო სამუშაოების განმახორციელებელი ჯგუფების, კონსულტანტების და სს „აჭარის წყლის ალიანსის“ ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობით.

პროგრამა აგრძელებს სამუშაოებს აჭარის მაღალმთიან სოფლებში და ნახევრად ურბანულ ტერიტორიებზე და მიზნად ისახავს რეგიონში შეიქმნას მდგრადი და საიმედო წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოსთან, აჭარის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ხელვაჩაური, ქობულეთი) თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა იქმნება.

პროექტის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებს. სამუშაოების განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ასევე ტურიზმის სტიმულირებას.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.

MACS Energy & Water · FICHTNER · GITEC CONSULT GMBH · IRC Supporting water sanitation and hygiene services for life · BLACK SEA ECOACADEMY · IGIP

ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს “აჭარის წყლის ალიანსი” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის შეხედულებებს.

Funded by the European Union

AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

Newsletter 65 **December / 2025**

AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAM 2025 OVERVIEW

Within the framework of the Ajara Rural Water and Wastewater Program, works continue across Ajara with the aim of establishing modern, relidable, and sustainable water supply and wastewater services for rural settlements.

As part of the program, in 2025:

- works commenced in **30** villages
- **225** km water supply constructed
- **884** septic tanks installed
- construction of **13** reservoirs started
- construction of **6** water intake started

Alongside the construction of modern utility infrastructure in Ajara, in 2025 the Ajara Water Alliance took important steps toward preparing engineering documentation for additional target areas, specifically:

- Design of the water supply for the Village **CHAKVISTAVI**
- Design drawings and hydraulic simulations were prepared for the **CHIRUKHI** area in Shuakhevi Municipality. At this stage, laboratory testing of water samples is underway
- Design of water supply and wastewater systems in four additional villages of Khelvachauri Municipality: **ZANAKHIDZEEBI, KHELVACHAURI, SHARABIDZEEBI, MAKHVILAURI**
- Additional design documentation was prepared for the village of **NAMISLEVI** in Keda Municipality

In parallel with technical works, the Ajara Water Alliance continued the active cooperation with the village user groups in rural Ajara and implemented awareness-raising activities. Throughout 2025, numerous workshops were conducted within Eco Clubs on the sustainable and responsible use of water and wastewater systems. Eco Club students also carried out awareness activities within their communities, focusing on informing older generations. These activities contribute to the long-term sustainability of the systems and investments implemented under the program.

Progress achieved in 2025 was made possible through close cooperation among the Government of Ajara, local municipalities, residents of villages and semi-urban areas, engineering contractors, consultants, and JSC Ajara Water Alliance.

The Program continues the work in the highland villages and semi-urban areas of Rural Ajara, aiming to establish sustainable and reliable water supply and wastewater systems across the region.

GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

In the frame of the German-Georgian Financial Cooperation and EU support to Georgia, the municipalities of Ajara (Keda, Shuakhevi, Khulo, Khelvachauri, Kobuleti) will benefit from the modern standard water supply and waste water infrastructure.

Upon completion of the project, people in the municipalities will have 24 hour uninterrupted water supply and properly managed waste water system services.
The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme “Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara” is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.

This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.